Kingdom of the Netherlands

რას ცვლის ცოდნა, გამოცდილება და პრაქტიკა ქალებისთვის მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში და როგორია გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული უსაფრთხოების გარემო

შორენა ლორთქიფანიძე

თეონა აქუბარდია

დოკუმენტი მომზადებულია პროექტის "ქალთა ჩართულობის ხელშეწყობა ეროვნული უსაფრთხოების სფეროში" ფარგლებში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერითა და ნატოს სამეკავშირეო ოფისთან თანამშრომლობით

თბილისი, 2023

სარჩევი

1. *საქართველოს შემთხვევის მიმოხილვა* *2*
2. *ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი და საქართველოს კონტექსტი* *3*
3. *ძირითადი კონცეფციები* *4*
4. *გენდერული პოლიტიკა და მიდგომები* *5*
5. *ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა* *7*
6. *ქალების მონაწილეობა სამშვიდობო ინიციატივებში* *8*
7. *უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორი და გენდერი საქართველოში* *10*
8. *ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა* *12*
9. *ქალებზე და გოგონებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისა და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენცია* *13*
10. *გენდერული (თანასწორობის) პოლიტიკა თავდაცვის სამინისტროში* *14*
11. *გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები უსაფრთხოების სექტორის უწყებებში 2022 წლის ნოემბრისთვის* *18*
12. *გენდერული კვლევები თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში* *19*
13. *ნატოსთან თანამშრომლობა* *21*
14. *ევროკავშირთან თანამშრომლობა* *21*
15. *გენდერული (თანასწორობის) პოლიტიკა შინაგან საქმეთა სამინისტროში* *22*
16. *შეჯამება* *23*
17. *გამოყენებული წყაროები* *26*
18. *დანართი 1 - ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება-რეზოლუციების მოკლე აღწერა* *27*

საქართველოს შემთხვევის მიმოხილვა

გენდერული თანასწორობა დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი და საფუძველია. გენდერული თანასწორობისა და სამართლიანობის გარეშე ვერ მიიღწევა გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობა. პოსტ-ტოტალიტარულ და პოსტ-კონფლიქტურ საზოგადოებებში დემოკრატიული ცვლილებების წინაპირობა და თანმდევი პროცესია ქალთა მონაწილეობის ზრდა სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში და პოლიტიკურ მოლაპარაკებებში.

ქალები, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, რომელიც განსაზღვრავს მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში ქალთა მონაწილეობის სტანდარტებს და სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებებს უზრუნველყოს გენდერული თანასწორობა თავდაცვისა და უსაფრხოების სფეროებში, დაიცვას ქალები და გოგონები გენდერული ძალადობისგან, ხელი შეუწყოს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ზრდას და უზრუნველყოს ქალების ჩართულობა მშვიდობის შესახებ მოლაპარაკებებში.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 (2000) და მისი თანმდევი რეზოლუციები წარმოადგენს პირველ საერთაშორისო სამართლებრივ და პოლიტიკურ ჩარჩოს, რომელიც აღიარებს შეიარაღებული კონფლიქტების არაპროპორციულ გავლენას ქალებზე და ასევე ქალთა არსებით როლს მშვიდობის მშენებლობაში, აქცენტს აკეთებს ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობაზე და გენდერული პერსპექტივის ჩართვაზე სამშვიდობო მოლაპარაკებებში, ჰუმანიტარულ დაგეგმარებაში, სამშვიდობო ოპერაციებში, კონფლიქტის შემდგომ მშვიდობის მშენებლობასა და მმართველობაში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გენდერული თანასწორობის პერსპექტივიდან დაგვანახოს უსაფრთხოების, მშვიდობისა და დემოკრატიული მმართველობის პოლიტიკა და პრაქტიკა, მიმოიხილოს საქართველოს ძალისხმევა გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შესახებ თავდაცვის და უსაფრთხოების სექტორთან მიმართებაში და გამოავლინოს ის წინააღმდეგობები, რომელიც ხელს უშლის ქალთა მონაწილეობას ამ სფეროებში და ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიურ გარემოს გადაწყვეტილების მიღების და მათი აღსრულების პროცესში.

უსაფრხოებისა და მშვიდობის საკითხები ტრადიციულად მასკულინური სფეროებია. ამ მიმართულებით პოლიტიკის განსაზღვრაში კაცები ისტორიულად ლიდერობდნენ და ასეა დღესაც. თუმცა, თანასწორობისა და ადამიანის საჭიროებებზე მორგებული საერთაშორისო ჩარჩოს შემუშავებამ დღის წესრიგში დააყენა მიდგომების ცვლილება ყველა დონეზე.

ნაშრომში ასევე მიმოვიხილავთ გენდერული თანასწორობის მიდგომებს, რომელიც პოლიტიკის შემუშავების თუ განხორციელების პროცესში გამოიყენება და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას ასახავს.

წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება მისი ავტორების სამუშაო და ანალიტიკურ გამოცდილებას უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის მმართველობისა და რეფორმის საკითხებზე. ასევე, ეყრდნობა საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას მიერ მომზადებულ ანგარიშს ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების შესახებ, რომელიც შეიქმნა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით და ექსპერტიზით, ეფუძნება არაერთ ფოკუს ჯგუფს და შეხვედრას, რომელიც ორგანიზებული იყო ნაშრომის ავტორების მიერ თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით და ეხებოდა გენდერული თანასწორობისა და ქალთა მონაწილეობის გამოწვევებს აღნიშნულ სფეროში.

ნაშრომში ასევე ინტეგრირდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების კვლევითი სტატიების შედეგები, რომელიც მომზადდა გენდერისა და უსაფრთხოების სალექციო კურსის ფარგლებში.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი და საქართველოს კონტექსტი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა საქართველოს უპირველესი მიზანი გახდა. ეს გზა რთული აღმოჩნდა - საქართველოს საბჭოთა ტოტალიტარული მმართველობის გამოცდილებას დაემატა შიდა პოლიტიკური დაპირისპირების, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლისა და 2008 წლის აგვისტოში რუსეთის - უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების შემოჭრის გამოცდილება. ამ პროცესების გენდერული ასპექტები ხვდება გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის ფოკუსში.

ომი და კონფლიქტი განსხვავებულ გავლენას ახდენს ქალებისა და გოგონების ცხოვრებაზე. ქალთა უფლებების დაცვა და არსებითი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა კონფლიქტის პრევენციისას, კონფლიქტის დროს და მის შემდგომ პერიოდში უმნიშვნელოვანესია. ქალებისა და გოგონების გამოცდილების ინტეგრირება მშვიდობის მშენებლობისა და შენარჩუნების ყველა ეტაპზე იძლევა საშუალებას დაიძლიოს გენდერული უთანასწორობა და შემცირდეს და მთლიანად აღმოიფხვრას ქალებისა და გოგონების მიმართ სხვადასხვა ფორმის გენდერული ნიშნით ძალადობის რისკები. საქართველომ 2011 წელს მიიღო გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 1325 პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა. 2022 წლის ბოლოს მეოთხე სამოქმედო გეგმა დამტკიცდა.

გარდა იმისა, რომ საქართველოს აქვს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 1325 სამოქმედო გეგმა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს 2010 წელს მიღებული კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ და 2014 წელს დამტკიცებული ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა. მთელი ეს საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარჩო ხელშემწყობია გენდერული თანასწორობის მიმართ ძალისხმევის გაძლიერებაში, განსაკუთრებით, უსაფრთხოებისა და მშვიდობის საკითხებში.

ძირითადი კონცეფციები

ჩვენ ვსაუბრობთ ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე და ვგულისხმობთ ქალთა მონაწილეობის ზრდას პოლიტიკურ, უსაფრთხოებისა და მშვიდობის საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაში, მოვიაზრებთ ქალთა და გოგონათა საჭიროებების გადააზრებას და ინტეგრირებას პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. ამ ყველაფრის საჭიროება კი გენდერული უთანასწორობის აღიარებიდან მოდის. ამავე დროს, ქალთა მონაწილეობის ზრდა პოლიტიკაში და მათი დაცვა ძალადობისგან გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ანუ ამ ზომებით ვპასუხობთ მთავარ მიზანს, მიიღწეს გენდერული თანასწორობა. ქალთა გაძლიერებისკენ მიმართული პოლიტიკა გენდერული თანასწორობის მიზანს ემსახურება. თუმცა, როდესაც გენდერულ პერსპექტივაზე ვსაუბრობთ, მხოლოდ ქალის პერსპექტივა არ იგულისხმება, მასში მოიაზრება ქალები და კაცები, გოგონები და ვაჟები - მათი სპეციფიკური საჭიროებები.

გენდერი სოციალურ-კულტურულ გარემოში ყალიბდება (ზოგჯერ ამბობენ, რომ გენდერი იქმნება ან "კეთდება") და წარმოადგენს თვისებების, სოციალური ქცევების, როლებისა და სტატუსების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრულია ქალისა და მამაკაცისთვის კონკრეტულ საზოგადოებაში.

გენდერში, ასევე იგულისხმება შეხედულებები ქალურობისა და მამაკაცურობის შესახებ. ადამიანები იბადებიან ქალებად ან მამაკაცებად, მაგრამ მათ ასწავლიან და მათგან მოელიან თუ როგორ უნდა მოიქცნენ, რა თვისებები განივითარონ, რა ადგილი უნდა დაიკავონ ოჯახსა და საზოგადოებაში, როგორი ურთიერთობები იქონიონ, რა წესებს დაემორჩილონ და ა.შ. ამ შეხედულებების გადამცემია ოჯახი, ავტორიტეტული ადამიანები, რელიგიური და კულტურული დაწესებულებები, სკოლა, მედია, თანატოლთა წრე და სხვა.

გენდერი ფართო საზოგადოებრივ კულტურული კონტექსტის ნაწილია. უმეტეს საზოგადოებებში ქალებსა და კაცებს შორის უთანასწორობა ემყარება მათზე არსებულ წარმოდგენებსა და ღრმად გამჯდარ სოციალურ და კულტურულ ტრადიციებს.

საქართველო პატრიარქალური კულტურის ქვეყანას მიეკუთვნება - ჩვენს საზოგადოებაშიც ღრმად არის გამჯდარი გენდერული სტერეოტიპები და გენდერული მიკერძოება. ამ პირობებში გენდერული თანასწორობის მისაღწევად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თუ რა მიდგომებს ირჩევს სახელმწიფო ცვლილებებისთვის.

გენდერული პოლიტიკა და მიდგომები

გენდერული თანასწორობის მისაღწევად მიმართავენ შესაბამის ზომებს და გამოიყენება შესაბამისი მიდგომები.

გენდერული თანასწორობის ასახვა ეროვნულ კანონმდებლობაში უმნიშვნელოვანესია გენდერული თანასწორუფლებიანობის მისაღწევად. გენდერული უფლებრივი თანასწორობა კანონის მიერ გარანტირებულია და იძლევა შესაძლებლობას კანონის ენა გადავიდეს პოლიტიკის დოკუმენტებში და პრაქტიკაში.

გენდერული მეინსტრიმინგი წარმოადგენს მიდგომას, რომელიც გულისხმობს გენდერული

პერსპექტივებისა და გენდერული ანალიზის ინტეგრირებას ნებისმიერ სექტორულ პოლიტიკაში.

ასევე, ხდება სპეციფიკური ზომების შექმნა და გამოყენება ქალების მხარდასაჭერად. მაგალითად, გენდერული კვოტირება ერთ-ერთი ამგვარი ზომაა.

გენდერული თანასწორობის მიღწევა შესაძლებელია გენდერული ანალიზის საშუალებით. უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებით არსებული საერთაშორისო პრაქტიკა გვეუბნება, რომ უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა იყოს ინკლუზიური, მრავალმხრივი და აუცილებლად ეფუძნებოდეს გენდერულ ანალიზს.

„საერთაშორისო, ეროვნულ და ინსტიტუციურ პოლიტიკებში გენდერული თანასწორობის მთავარ სტრატეგიად მიჩნეულია გენდერული მეინსტრიმინგი/გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება და გენდერული ანალიზი“ (DCAF, OSCE/ODIHR, UN Women, 2019, გვ. 17). „გენდერული ანალიზი წარმოადგენს ქალებზე, კაცებზე, გოგონებზე, ბიჭებზე და სხვა გენდერული იდენტობისა და განსხვავებული წარმომავლობის ადამიანებზე გენდერული როლების, აქტივობების, საჭიროებების, შესაძლებლობებისა და უფლებების/უფლებამოსილების ზეგავლენის საგულდაგულო შესწავლას მოცემულ ორგანიზაციაში, სიტუაციაში ან კონტექსტში“ (DCAF, OSCE/ODIHR, UN Women, 2019, გვ. 18).

ამავდროულად, გენდერულად დაბალანსებული პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვანია რამდენიმე საკვანძო ელემენტის შექმნა უსაფრთხოების უზრუნველმყოფ უწყებებსა და აღმასრულებელ დონეზე.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გამართული პოლიტიკის დოკუმენტებისა და მარეგულირებელი ჩარჩოს არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს გენდერულ მეინსტრიმინგზე დაფუძნებული მიდგომით ქვეყნის უსაფრთხოების ხედვას. ერთ-ერთ ასეთ ცენტრალურ დოკუმენტად მიჩნეულია ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი.

ასევე, მნიშვნელოვანია დეკლარირებულ ხედვას თან ერთვოდეს სწორი რეფორმების პროცესი. გენდერულად დაბალანსებული უსაფრთხოების პოლიტიკის მიღწევა შესაძლებელია უსაფრთხოების სექტორის ფუნდამენტური რეფორმის პროცესის ფარგლებში. მტკიცედ არის აღიარებული რომ უსაფრთხოების სექტორის რეფორმა (SSR) უნდა აკმაყოფილებდეს

მამაკაცების, ქალების, ბიჭებისა და გოგონების უსაფრთხოების სხვადასხვა საჭიროებებს. გენდერის საკითხების ინტეგრაცია არის უსაფრთხოების სექტორის ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულებისთვის საკვანძო თემა, ასევე, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესების ლეგიტიმაციის წყარო. გენდერული საკითხების ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაში ინტეგრაცია ზრდის მის რელევანტურობას და მდგრადობას - ანუ მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები: ადგილობრივი ჩართულობა მონაწილეობითი (participatory) პოლიტიკის შემუშავების პროცესებში; უსაფრთხოების ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოების სხვადასხვა საჭიროებებს; დისკრიმინაციის აკრძალვა უსაფრთხოების პოლიტიკასა და უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტებში (DCAF, OSCE/ODIHR, UN-INSTRAW, 2008, გვ. 1).

სწორად დაგეგმილი პოლიტიკა მიემართება საზოგადოების ყველა სეგმენტის საჭიროებებსა და ინტერესებს. მით უფრო ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიც უსაფრთხოებაა და ადამიანისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ თემებს აერთიანებს. გენდერული კომპონენტის უსაფრთხოების სექტორში დანერგვა გვეხმარება გენედერული თანასწორობის უზრუნველყოფაში, რომელიც, თავის მხრივ, თავიდან აგვარიდებს გენდერულად ბრმა პოლიტიკის შემუშავებას თანმდევი სავალალო შედეგებით. უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს ინკლუზიურად, საზოგადოების ფართო სპექტრის ჩართულობით.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა

საქართველოს კონსტიტუციური რეფორმის ჭრილში ამოქმედდა არსებითი გენდერული თანასწორობის პრინციპი, რაც სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ზომების მიღების ვალდებულებას აღიარებს, მისი მიზანია აღმოფხვრას ქალებისა და კაცების უთანასწორობა და ხელი შეუწყოს არსებით თანასწორობას. 2020 წლის საარჩევნო რეფორმის ფარგლებში საქართველოს საარჩევნო კოდექსით განისაზღვრა სავალდებულო გენდერული კვოტა (საპარლამენტო არჩევნებისთვის 2032 წლამდე, ხოლო თვითმმართველობის არჩევნებისთვის 2028 წლამდე).

კვოტის მოქმედების პირველივე წელს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის კუთხით, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე წინა წლებთან შედარებით მცირედი მატება აღინიშნება, მაგ.: საქართველოს პარლამენტში - 19.3% , ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებაში – 13 მინისტრიდან (პრემიერ-მინისტრის ჩათვლით) ორი ქალია. ცხრა სახელმწიფო რწმუნებულს (გუბერნატორი) შორის კვლავ არცერთი ქალი არ არის.

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, 2021 წლის ადგილობრივი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებისთვის პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემებით და მერის არჩევნებისთვის წარდგენილი კანდიდატების პროცენტულ გადანაწილებას, პროპორციული სიით – 42.52%, მაჟორიტარული წესით – 17.48%, ხოლო მერის არჩევნებისთვის 5 თვითმმართველ ქალაქში – 17.5% და 59 მუნიციპალიტეტში 8.96% ქალი იყო ნომინირებული. 2021 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით, პროპორციული წესით - 441 ქალი (31.4%), მაჟორიტარული წესით - 50 ქალი (7.6%), მერის არჩევნებში სამი ქალია (1.92%) არჩეული.[1]

მიუხედავად ამისა, პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა ნელი ტემპით იზრდება. საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით პოლიტიკაში ქალთა თანასწორი მონაწილეობის ინდიკატორი 40-50%-ია. საჭიროა გადაიდგას ნაბიჯები მიღწეული შედეგების მდგრადობისა და აღსრულების ეფექტიანი მექანიზმის შექმნისთვის, გადაიხედოს საკანონმდებლო ჩარჩო და გაიზარდოს სავალდებულო გენდერული კვოტის ეფექტიანობა (პროცენტული ზრდა და ვადის გახანგრძლივება), რაც პრაქტიკაში დადებით გავლენას მოახდენს პატრიარქალური წესრიგის გარდატეხასა და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაუმჯობესებაზე, რაც თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია ინკლუზიური დემოკრატიული პროცესისა და ინსტიტუტების განმტკიცებასთან.

[1] Gender Equality in Georgia, barriers and recommendations, part 1

ქალების მონაწილეობა სამშვიდობო ინიციატივებში

საქართველოში არაერთი ორგანიზაცია მუშაობს კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონების საჭიროებებზე და მათ გაძლიერებაზე. მათ შორისაა არასამთავრობო ორგანიზაციები:

ქალთა საინფორმაციო ცენტრი, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ და ქალთა ფონდი „სოხუმი“. მათ მიერ განხორციელებული კვლევები აფასებს „საქართველოში კონფლიქტით დაზარალებული თემების საჭიროებებს გენდერულ ჭრილში.[2]

გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის მეოთხე სამოქმედო გეგმა აქცენტს აკეთებს კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონების საჭიროებების კვლევაზე და მათი ჩართულობის ზრდაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა, ამავდროულად მნიშვნელოვანია ქალების მონაწილეობა მოლაპარაკებების პროცესში, ქალების გააქტიურება გენდერული თანასწორობის დღის წესრიგით.

პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას მიერ მომზადებული ანგარიში ამ მიმართულებით შემდეგ პრობლემებს და გამოწვევებს გამოყოფს:

1. ქალებისა და ახალგაზრდების დაბალი წარმომადგენლობა და არაეფექტიანი ჩართულობა სამშვიდობო პროცესებში, მათ შორის ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ადვოკატირებასა და განხორციელებაში;
2. ქალებისა და ახალგაზრდების დაბალი ჩართულობა სახელმწიფო პროგრამების შემუშავების პროცესში, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე;
3. ქალთა დაბალი წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე;
4. ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში, ეროვნულ სამოქმედო გეგმებში, კონფლიქტის საფრთხის ადრეული იდენტიფიცირებისა და გაფრთხილების

[2] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დევნილი ქალების მობილობის ბარიერები და მათი ზეგავლენა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე“ . იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ ანგარიშები „სამიზნე თემების საჭიროებათა და მედეგობის სწრაფი შეფასების ანალიზი“ , „ქალები P2P გზაზე: მიღწევები და გამოწვევები მშვიდობის მშენებლობაში“ , „ქალების თვალით“ ; ქალთა ფონდი „სოხუმის“ დასავლეთ საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასების კონსოლიდირებული ანგარიში და სხვა კვლევები.

მექანიზმების არარსებობა;

5. ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესებში ქალთა ჩართულობის არარსებობა;

6. კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის საფრთხის პრევენციისათვის სპეციალური მექანიზმების არარსებობა;

7. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდამჭერი პროგრამების არარსებობა/არაეფექტიანობა;

8. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, საჯარო სერვისებზე, განათლებაზე, ფინანსებზე, ინფორმაციაზე დაბალი ხელმისაწვდომობა;

9. პროფესიული გადამზადების სახელმწიფო პროგრამების ნაკლებობა;

10. ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების სიმცირე / დაბალი ხელმისაწვდომობა;

11. დევნილთა დასახლებებში, გამყოფი ხაზის მიმდებარედ ინფრასტრუქტურის (საცხოვრებელი, სამედიცინო, საგზაო, სატრანსპორტო) არარსებობა / გაუმართაობა. [3]

გარდა ამ პრობლემებისა, მნიშვნელოვანია პოლიტიკურ დონეზე ქალთა ჩართულობის უზრუნველყოფა კონფლიქტებისა და მშვიდობის საკითხებზე. არაერთი რეკომენდაცია გაიცა ქალების წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით ჟენევის მოლაპარაკებებში. ქალთა ორგანიზაციები არაერთ საერთაშორისო პლატფორმაზე წარმოადგენენ საქართველოს. თუმცა, მიუხედავად დეკლარირებული პოლიტიკისა, ქალების მონაწილეობა მშვიდობისა და უსაფრთხოების თემებზე კვლავ შეზღუდულია.

უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორი და გენდერი საქართველოში

2010 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო გენდერული თანასწორობის კანონი, რაც დიდი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო გენდერული თანსწორობის უზურნველსაყოფად.

[3] წყარო: საქართველოს პარლამენტის თემატური მომხსენებლის (რაპორტერის) ანგარიში - საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელება
თემატური მომხსენებელი: თეონა აქუბარდია, პარლამენტის წევრი

თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორთან მიმართებით საქართველოს გენდერული თანასწორობის კანონიდან ვრცელდება ვალდებულება, რომ უწყებებში დაცული იყოს ქალისა და მამაკაცის უფლებები და თავისუფლებები, და მათ თანაბრად, დისკრიმინაციის გარეშე მიეცეთ შესაძლებლობა პროფესიული ნიშნის, უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად დაიკავონ თანამდებობა, დაწინაურდნენ, შეფასდნენ, მიეცეთ პროფესიული განვითარების (მომზადება/გადამზადების), სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის შესაძლებლობები. აგრეთვე, ორგანიზაციის ვალდებულებაა უზრუნველყოს ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობა ქალებისა და მამაკაცებისთვის, შეაგროვოს და ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშებში შეიტანოს სქესის ნიშნით განცალკევებული მონაცემები.

ამასთანავე, კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, უწყებებს ავალდებულებს შრომითი ურთიერთობებისას არ დაუშვან შევიწროება და სექსუალური შევიწროება.

კანონი შევიწროებას განმარტავს, როგორც სქესის ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას; ხოლო სექსუალური შევიწროება განმარტებულია, როგორც სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, აგრეთვე ხაზს უსვამს ორსული ქალებისა და მეძუძური დედებისთვის შრომის ხელსაყრელი პირობების შექმნის უზრუნველყოფის ვალდებულებას.

გენდერული თანასწორობის დაცვისა და ძალადობის აღმოფხვრის ვალდებულებები **აკისრია** საქართველოს სამინისტროებს, მათ შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის უწყებებს, ისინი ვალდებული არიან მოახდინონ კანონპროექტებისა და პოლიტიკის დოკუმენტების გენდერული შეფასების პილოტირება, შეიმუშავონ გენდერული თანასწორობის შიდაუწყებრივი დოკუმენტები, აწარმოონ გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების აღრიცხვა, მოახდინონ კანონპროექტების გენდერული ანალიზი და განახორციელონ ადამიანური რესურსების

მართვაზე პასუხისმგებელ პირთა გენდერული ტრეინინგები. აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებების ვალდებულება მეორდება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოების ეროვნულ სამოქმედო გეგმებში.

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიმართ ვალდებულებებს ძირითადად ორი მიზნის ქვეშ განსაზღვრავს:

1. მონაწილეობა - ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე;

2. პრევენცია - ქალებზე და გოგონებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისა და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენცია.

გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე ქალთა გაზრდილი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმა თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ითვალისწინებს ადამიანური რესურსების სფეროში კონცეპტუალურ დოკუმენტებში (პოლიტიკა, სტრატეგია) გენდერული პერსპექტივების ინტეგრირებასა და პოლიტიკის განხორციელებაზე ეფექტური მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების არსებობას. აღნიშნული ვალდებულება, ადამიანური რესურსების დეპარატმენტის თანამშრომლებისთვის გულისხმობს შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას, რაც ასევე ასახული იყო 2016-2017 და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმაში.

გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობის კონტექსტში მეორე მიმართულებაა სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემთა მართვისა და ანალიზის სისტემების გამართვა. აღსანიშნავია, რომ სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემთა მართვის სისტემები, ასევე დღის წესრიგში იდგა 2016-2017 წლების გეგმაში, რომელიც მხოლოდ ასეთი სისტემების შექმნის ვალდებულებით შემოიფარგლებოდა. მესამე გეგმა ამ მიმართულებით უფრო მეტ აქტივობას

განსაზღვრავდა და სისტემის შექმნასთან ერთად ასახელებდა სეგრეგირებული მონაცემების წარმოების, ანალიზისა და პროცენტული მაჩვენებლის გასაჯაროების ვალდებულებას. აღნიშნული გეგმა, აგრეთვე სეგრეგირებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავების ვალდებულებას, რომელიც, თავის მხრივ, კარიერული განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს მიანიჭებს ქალებსა და კაცებს.

უნდა აღინიშნოს, რომ კარიერული განვითარების პროგრამებში ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობა, როგორც ვალდებულება დაფიქსირებული იყო წინა გეგმებშიც, რამდენადაც აღნიშნული ღონისძიება განგრძობითი საქმიანობაა.

ამ მიმართულებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვალდებულებაა დიპლომატიურ წარმომადგენლებში სამხედრო ატაშის პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის ხელშეწყობაც.

ქალებზე და გოგონებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისა და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენცია

ეროვნული სამოქმედო გეგმის ამ ნაწილში, ასევე განსაზღვრულია თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ვალდებულება - უსაფრთხოების სექტორში მომსახურე პერსონალის შესაძლებლობების გაზრდა სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და რეაგირების თვალსაზრისით. ინდიკატორად იდენტიფიცირებულია გადამზადებულ თანამშრომელთა და გენდერულ მრჩეველთა რაოდენობა. სავალდებულო ღონისძიებებად განსაზღვრულია: ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და მასზე რეაგირებას. აღსანიშნავია, რომ გენდერული მრჩევლების ფუნქციების განსაზღვრა და სამუშაოს აღწერის დამტკიცება პირველად 2018-2020 წლების გეგმაში გაჩნდა.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულებებს, გეგმა ითვალისიწინებს შსს-ს

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისთვის მიზნობრივი ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფას გაერო-ს უშიშროების საბჭოს ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე რეოზლუციების შესახებ. გეგმაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე.

გენდერული (თანასწორობის) პოლიტიკა თავდაცვის სამინისტროში

თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია შემუშავდა 2014 წელს და გენდერული თანასწორობის ძირითად კონცეპტუალურ დოკუმენტს წარმოადგენს. თავდაცვის სამინისტროს გენდერული პოლიტიკა ძირითადად ორი მიმართულებით მიმდინარეობს:

1. თავდაცვის სამინისტროს სისტემაში (სამინისტროს სამოქალაქო ოფისი, თავდაცვის ძალები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები) გენდერული თანასწორობის განმტკიცება და ე.წ. „გენდერული მეინსტრიმინგი“;
2. გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება სამშვიდობო ოპერაციების დროს, გაერო-ს უშიშროების საბჭოს ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე რეზოლუციების შესაბამისად.

უფრო კონკრეტულად კი თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია განსაზღვრავს შემდეგ მიზნებს:

- ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისთვის სათანადო პირობების შექმნა;
- დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენცია და აღმოფხვრა;
- გენდერული ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა;
- თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ქალთა არსებული მდგომარეობის კვლევა;
- თავდაცვის სისტემაში ქალთა ჩართულობის გაზრდა და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

რას ცვლის ცოდნა, გამოცდილება და პრაქტიკა ქალებისთვის მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში და როგორია გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული უსაფრთხოების გარემო

- განათლების შესაბამისი დონის შექმნა, კერძოდ, ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325 და მისი თანმდევი რეზოლუციების შესახებ;

თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია, ასევე საფუძველს უყრის გენდერული თანასწორობის განმტკიცების კონკრეტულ მექანიზმებს, როგორიცაა **გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფი** და **გენდერული მრჩევლის** ფუნქცია.

გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფი ზედამხედველობასა და კოორდინაციას უწევს სამინისტროში გენდერული თანასწორობის განმტკიცებას, გენდერულ მეინსტრიმინგს, გენდერული პერსპექტივების იმპლემენტაციას, ინსტიტუციონალიზაციასა და აღნიშნულ სფეროში აღებული ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელებას. ამასთანავე, ჯგუფს გააჩნია გენდერულ საკითხებზე კონსულტაციების გაწევისა და გენდერული მრჩევლების კოორდინაციის ფუნქციები. ჯგუფი, აგრეთვე ჩართულია თავდაცვის ძალების წევრების მხრიდან ოჯახური ძალადობის პრევენციული ღონისძიებებისა და საგანმანათლებლო მოდულების შექმნისა და დანერგვის პროცესებში.

თავდაცვის სამინისტროს გენდერული მონიტორინგის ჯგუფის წევრები, ასევე, აქტიურად არიან ჩართულნი გენდერის საკითხებთან დაკავშირებული ეროვნული და უწყებრივი სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში.

გენდერული მრჩევლები. თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალებში ბრიგადის დონის ქვედანაყოფების დონეზე 2014 წლიდან განისაზღვრა გენდერული მრჩევლები და მიმდინარეობდა მათი გადამზადება. გენდერული მრჩევლის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია შესაბამის სამუშაო აღწერაში. გენდერული მრჩევლის ძირითადი ფუნციებია: თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა, გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება და კონსულტაციების გაწევა, სტრუქტურულ ერთეულში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სწავლებებისა და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და სტრუქტურულ ერთეულში გენდერული დისკრიმინაციისა და გენდერული და სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე ადეკვატურად რეაგირების ხელშეწყობა.

2014 წელს თითოეული ბრიგადის დონის ქვედანაყოფში განსაზღვრულ იქნა ორი გენდერული მრჩეველი - ერთი ქალი, ერთი მამაკაცი. მათგან ერთ-ერთი წარდგენილი იყო ხელმძღვანელის მხრიდან, ხოლო მეორე არჩეული იყო ქვედანაყოფის ქალი სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეების მხრიდან. როგორც აღინიშნა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, სამხედრო პერსონალის როტაციის პირობებში, მოხდა სხვა პერსონალთან ერთად გენდერული მრჩევლების გადანიშვნა სხვა ქვედანაყოფებში და ამით დაირღვა ორ-ორი წარმომადგენლობის პრინციპი. გენდერული მრჩველის ინსტიტუციონალიზაციისთვის, გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფის ინიციატივით, განხორციელდა გენდერული მრჩევლის ფუნქციების დამატება ბრიგადის პერსონალის მართვის ოფიცრის სამუშაო აღწერაში და გენდერის საკითხებს მიენიჭა სპეციალური საკვალიფიკაციო კოდი. ოფიცერს, რომელიც დაინიშნება ასეთი კოდის მქონე თანამდებობაზე ავტომატურად ეკისრება გენდერული მრჩევლის ფუნქციები. შესაბამისად, თითოეულ ოფიცერს ესაჭიროება შესაბამისი კოდი, რომელიც თანხვედრაში იქნება თანამდებობრივ კოდთან, რაც დღის წესრიგში აყენებს აღნიშნული ოფიცრის გენდერული თანასწორობის საკითხებში გადამზადებისა და სერთიფიცირების საკითხს. თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, მათ გააჩნიათ შიდა რესურსი, რათა მოახდინონ გენდერული მრჩევლების გადამზადება. თავდაცვის სამინისტროში პარტნიორების, კერძოდ კი გაერო-ს ქალთა ორგანიზაციისა და შვედეთის, მხარდაჭერით განხორციელდა სამინისტროს თანამშრომლების გენდერის საკითხებში ტრენერებად გადამზადება.

ერთ-ერთ გამოწვევას, რომელიც აქტიურად სახელდება უსაფრთხოების სექტორის უწყებებში, წარმოადგენს გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე. შესაბამისად, ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები მიმდინარეობს ორივე უწყებაში. თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, გენდერული თანასწორობის მოდულები შეტანილია ოფიცრებისა და სერჟანტების საკარიერო კურსების კურიკულუმში, აგრეთვე ტრენინგები ტარდება თავდაცვის ინსტრიტუციური აღმშენებლობის სკოლაში. სამინისტრო, აგრეთვე ახორციელებს საერთაშორისო სამშვიდობო მისიების კონტიგენტის გადამზადებას გენდერული თანასწორობისა და ქალებზე, მშვიდობასა და უსფრთხოებაზე გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეოზლუციების საკითხებზე. აღნიშნული სწავლებები 2015 წლიდან მიმდინარეობს და ამ ეტაპზე სამინისტრო ასახელებს დაახლოებით 6 000 გადამზადებულ სამხედრო მოსამსახურეს. გადასროლის წინა მომზადების პროგრამაში ინტეგრირებულია აგრეთვე ოჯახში ძალადობის

საკითხები, სამშვიდობო მისიასთან დაკავშირებული მაღალი სტრესისა და პოსტ-ტრამვული სტრესული აშლილობის რისკების გათვალისწინებით.

ასევე, ცნობიერების ამაღლებას ემსახურება სამინისტროში შემუშავებული თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის საჯარო მოხელეთა გზამკვლევი, რომლის მიზანიცაა დაეხმაროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს უწყების მისიის, ამოცანების, სტრუქტურის, პრიორიტეტების, საქმიანობის, ასევე, მოხელეთა უფლება-მოვალეობებისა და სოციალური დაცვის პირობების გაცნობაში. გზამკვლევში გაცხადებულია სამინისტროს გენდერული თანასწორობის პოლიტიკა, რომელშიც პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის მიმართულებით ერთნაირი შესაძლებლობების შექმნის პრინციპია დეკლარირებული.

2018 წელს, მინისტრის ბრძანებით თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სავალდებულო გახდა „სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების შესახებ“ ელექტრონული კურსის გავლა, რაც სამინისტროს მოლოდინით, ხელს შეუწყობს სექსუალური შევიწროებისა და დისკრიმინაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და მსგავსი შემთხვევების პრევენციას. ამასთანავე, განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებები დისკმრიმინაციისა და ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის ინსტიტუციონალიზაციისთვის. დამატებები შეტანილ იქნა სამხედრო მოსამსახურეთა სადისციპლინო წესდებაში, სადაც ჩაემატა სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით სპეციალური მუხლები. სექსუალური შევიწროების გენდერული ნიშნით დისკრმინაციის გასაჩივრება შესაძლებელია გენდერული მრჩევლისა და გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფის ჩართვით, თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში. გასაჩივრებისთვის, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი, რომელიც მუდმივ რეჟიმში არის ხელმისაწვდომი და მოქმედებს ანონიმურობის დაცვით.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიას, ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, გენდერული თანასწორობის სტრატეგიის პროექტი თავდაპირველად მომზადდა სწორედ ქალთა საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით 2016 წლის ბოლოს, მაგრამ, როგორც ეს ანგარიშში არის მითითებული არ დამტკიცდა. 2018-19 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტრომ კვლავ განაახლა

სტრატეგიაზე მუშაობა და მიმდინარეობს მისი დასამტკიცებლად მომზადება.

გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცებასთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტრო მუშაობს გენდერული მრჩევლების ინსტიტუტის შემოღებაზე და აქტიურად ახორციელებს გენდერული მრჩევლის ფუნქცია-მოვალეობების სწავლებას ქალთა ეფექტიანი მონაწილეობის გაძლიერების კონტექსტში.

ცნობიერებასთან ერთად გამოწვევად რჩება სამინისტროებში დასაქმებულ ქალთა დინამიკის შესახებ წლების მიხედვით ინფორმაციის ანალიზი, ქალთა მოზიდვა და გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე ქალთა რაოდენობა.

გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები უსაფრთხოების სექტორის უწყებებში 2022 წლის ნოემბრისთვის

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები შეგროვებულია საპარლამენტო მომხსენებლის ანგარიშის მომზადების პროცესში, უსაფრთხოების სექტორის უწყებებიდან გამოთხოვილი გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების საფუძველზე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ქალებისა და კაცების რაოდენობა სამოქალაქო ოფისში თანაბარია. მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებულია ქალების 38% და კაცების 62%. თავდაცვის ძალებში 7% ქალია, ხოლო 93% კაცი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის მესამე კვრატლის მონაცემებით სამინისტროს გენდერული შემადგენლობა ამგვარია: სამინისტროში სულ დასაქმებული 19 297 თანამშრომლიდან 3 528 ქალია, ხოლო 15 769 კაცი, მათგან მენეჯერულ პოზიციებზე 766 კაცია დასაქმებული, 51 ქალი.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის გენდერული შემადგენლობა: 2022 წლის 15 ნოემბერის მონაცემებით - 13.14% ქალი, ხოლო 86.86% კაცი. მენეჯერულ პოზიციებზე 90% - მდე კაცია დასაქმებული.

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში 37% ქალია დასაქმებული, ხოლო 63% კაცი. აქედან 20% ქალი მენეჯერულ პოზიციებზე, ხოლო 80% კაცი.

საქართველოს დაზვერვის სამსახურში დასაქმებულთა 32% ქალია, ხოლო 68% კაცი, აქედან 19% მენეჯერულ პოზიციებზე ქალია, ხოლო 81% კაცი.

ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში 52.4% ქალია, ხოლო 46.6% კაცი. მენეჯერულ პოზიციებზე ქალების და კაცების განაწილება თანაბარია.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში 19.42% ქალია, ხოლო 80.58% კაცი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ქალები და კაცები თანაბრად არიან დასაქმებული, აქედან მენეჯერულ პოზიციებზე 19.42% ქალია, ხოლო 80.58% კაცი.

როგორც მონაცემებიდან ვხედავთ, ქალთა მონაწილეობა უსაფრთხოების უწყებებში შეზღუდულია და ქალები არა თუ არ არიან გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, პრობლემურია მათი დასაქმებაც კი ამ უწყებებში.

გენდერული კვლევები თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში

აღსანიშნავია, რომ გენდერული კვლევები თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორთან მიმართებაში ნაკლებად ხორციელდება. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოებული კვლევები უფრო მეტად ქალთა ცხოვრების ისეთ ეკონომიკურ, სოციალურ და საზოგადოებრივ ასპექტებს ეხება, როგორიცაა ზოგადად დასაქმება, შემოსავალი, ოჯახში ძალადობა, სექსუალური შევიწროება, და ა.შ. და არ არის იდენტიფიცირებული კვლევის მონაწილეთა მიკუთვნებულობა რომელიმე, მათ შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორისადმი.

თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში გენდერული თანასწორობისა და შესაბამისი ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ უფრო მეტად კეთდება ანგარიშები პარლამენტის, სახალხო დამცველისა და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ. გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია 2017 წელს შეიქმნა და მას იუსტიციის მინისტრის მოადგილე ხელმძღვანელობს.

არასამთავრობო სექტორის მიერ ყველაზე მასშტაბური კვლევა 2018 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ ჩატარდა. კვლევის მიზანი იყო ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2016-2017 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამოუკიდებელი მონიტორინგი. მონიტორინგის პროცესში გამოყენებულ იქნა კვლევის შერეული მეთოდოლოგია, მათ შორის სამაგიდო კვლევა, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა და სიღრმისეული ინტერვიუები. კვლევის ძირითად თემას წარმოადგენდა აღნიშნული ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესი და შედეგები.

ასევე, აღსანიშნავია, არასამთავრობო ორგანიზაციის - სამოქალაქო საბჭო თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხების მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტი თავდაცვის სამინისტროში გენდერული თანასწორობის შესახებ. პოლიტიკის დოკუმენტში აღიწერა თავდაცვის სამინისტროში დღეს მიმდინარე პროცესები თანასწორი და გენდერულად ინკლუზიური გარემოს მხარდასაჭერად. დოკუმენტში, ასევე აისახა ის პრობლემები, რაც ხელს უშლის თანასწორი გარემოს მიღწევას. ხელისშემშლელი ფაქტორებიდან, აღსანიშნავია ჯერ კიდევ არასაკმარისი გენდერული სენსიტიურობა უწყებაში.

გენდერული კვლევების მიმართულებით, აღსანიშნავია თავდაცვის სამინისტროში 2019 წლის ზაფხულში ჩატარებული ორგანიზაციული კლიმატის კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მომსახურე სამხედრო და სამოქალაქო პირების განწყობებისა და დამოკიდებულებების გამოვლენას სამუშაო გარემოს, კოლეგებისა და ხელმძღვანელების მიმართ, აგრეთვე განვითარების თანაბარი

შესაძლებლობების, შევიწროების, მათ შორის სქესის ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ მდგომარეობის შესწავლას. კვლევის ფარგლებში განხორციელდა რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება კითხვარების საშუალებით, ფოკუს ჯგუფების ორგანიზება და ჩატარება და მონაცემთა ანალიზი, როგორც რაოდენობრივი (კითხვარები) ისე თვისებრივი (ფოკუს ჯგუფი) კვლევის შედეგების დამუშავება. კითხვარები მოიცავდა შემდეგ სეგმენტებს: დემოგრაფიული მონაცემები; სამსახურეობრივი ურთიერთობები და სამუშაო გარემო; სამუშაოს მოცულობა; სამსახურისადმი დამოკიდებულება; საერთაშორისო მისიები; პროფესიული/კარიერული განვითარება; სამომავლო გეგმები; დისკრიმინაცია სამსახურში; სამუშაოსა და პირადი

ცხოვრების ბალანსი; თავდაცვის სამინისტრო ამუშავებს გადაწყვეტილებას კვლევის შედეგების გასაჯაროებასთან დაკავშირებით. კვლევის შესახებ საინფორმაციო შეხვედრაზე თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, გამოიკვეთა საჭიროება გენდერული თანასწორობის და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების კიდევ უფრო მეტი ღონისძიებების საჭიროების შესახებ.

ნატოსთან თანამშრომლობა

გენდერული თანასწორობის განმტკიცება და სამშვიდობო ოპერაციებში გენდერული პერსპექტივების ინტეგრირება ნატო-ში ინტეგრაციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და შესაბამისად საქართველოს ნატოსთან ანგარიშვალდებულება გააჩნია ამ მიმართულებით.

საქართველო, როგორც პარტნიორი ქვეყანა და დელეგატი მონაწილეობს ნატო-ს გენდერული პერსპექტივების კომიტეტის ყოველწლიურ კონფერენციაში, სადაც მას შესაძლებლობა ეძლევა ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებს წარუდგინოს ამ მიმართულებით ქვეყნის პროგრესი და მიიღოს და გაიზიაროს სხვა ქვეყნების გამოცდილება.

ევროკავშირთან თანამშროლობა

თავდაცვის სამინისტროსთან ევროკავშირის თანამშრომლობა ტრეინინგებში მონაწილეობის მხარდაჭერით შემოიფარგლება. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ევროკავშირი აქტიურად არის ჩართული ოჯახში ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის და ოჯახში ძალადობის და მისი შედეგების აღმოფხვრის მიმართულებით მიმდინარე პროექტში. (პროექტის შესახებ ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ნაწილში)

NCGM Nordic Center for Gender in Military – შვედეთის მხარდაჭერით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ ცენტრის მიერ წარმოებული გენდერული მრჩევლისა და ტრენერთა ტრეინინგები. 2016 წელს გენდერის საკითხების ტრენერთა ტრენინგი ცენტრის მობილურმა ჯგუფმა ჩაატარა აგრეთვე საქართველოში, რომლის

დროსაც თავდაცვის სამინისტროს 7 წარმომადგენელს შესაძლებლობა მიეცა გადამზადებულიყო, როგორც გენდერის საკითხების სერთიფიცირებული ტრენერი.

2019 წლის ზაფხულში, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციისა და დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით, ცენტრის ტრენერთა მობილური ჯგუფი კიდევ ერთხელ ეწვია საქართველოს და ჩაატარა უმაღლეს ლიდერთა სემინარი და გენდერის საკითხებში საკონტაქტო პირების ტრენინგი. უმაღლეს ლიდერთა სემინარს თავდაცვის სამინისტროს ძალების ხელმძღვანელი თანამდებობების პირებთან ერთად ესწრებოდა შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მაღალი თანამდებობების პირები.

SIDA - შვედეთი საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერაც, აგრეთვე გენდერული თანასწორობის საკითხებში თანამშრომელთა გადამზადებას მოიცავდა ძირითადად 2012 – 2016 წლებში.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი, წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციას და იგი 2013-2017 წლებში აქტიურად იყო ჩართული გენდერული მრჩევლების მომზადებასა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში. აგრეთვე, ქალთა საინფორმაციო ცენტრმა განახორციელა 2016-2017 წლების ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების დამოუკიდებელი მონიტორინგი და შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც გაეცნო როგორც თავდაცვის, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროებს.

სამოქალაქო საბჭომ თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში DCAFთან და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად განახორციელა უსაფრთხოების სექტორის უწყებების გენდერის პროფესიული განვითარების პროგრამა. პროგრამის ფატგლებში 10 თვის განმავლობაში მუშაობა წარიმართა უსაფრთხოების სექტორის ხუთი უწყების 30 მონაწილესთან.

სამოქალაქო საზოგადოების როლი ძირითადად ორი მიმართულებით შეგვიძლია განისაზღვროს :

- მხარდაჭერა გენდერული თანასწორობის განმტკიცების მიმართულებით: ცნობიერების ამაღლება და თანამშრომელთა გადამზადება;
- ანგარიშვალდებულების მოთხოვნა და მონიტორინგი.

გენდერული (თანასწორობის) პოლიტიკა შინაგან საქმეთა სამინისტროში

შინაგან საქმეთა სამინისტრო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით აქტიურად მუშაობს ოჯახში ძალადობის პრევენციის მიმართულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირთან თანამშრომლობა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერა შემდეგ საკითხებში:

- ეთნიკურ უმცირესობათა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები დევნილების სპეციფიკასა და კულტურის გათვალისწინებით საინფორმაციო სტრატეგიის ჩამოყალიბება;
- ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული მრავალკომპონენტიანი საინფორმაციო კამპანიის შემუშავება და განხორციელება;
- საქართველოს რეგიონებში თემატური შეხვედრების ჩატარება ადგილობრივი პოლიციის, პროკურორის ოფისის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, სასამართლო და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მონაწილეობით, კომპეტენციების განსაზღვრისა და თანამშრომლობის ქსელის შექმნის მიზნით;
- ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე ხარვეზების იდენტიფიცირებისთვის სამუშაო შეხვედრების/კონფერენციის ორგანიზება;
- საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, სასწავლო ვიზიტების საშუალებით;
- გენდერული საკითხების მიმართულებით ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესასწავლისა და ანალიზის მიზნით მაღალკვალიფიციური კვლევების ჩატარება;
- ელექტრონული ანალიტიკური რესურსის (ელექტრონული ბიბლიოთეკის) გამოწერა 2 წლის განმავლობაში;
- შსს თანამშრომლების, უბნის ინსპექტორებისა და პატრულების ინფორმირება, ცნობიერების ამაღლება და გადამზადება ოჯახში ძალადობის თემატიკაზე.

შეჯამება

მნიშვნელოვანია, გენდერის, როგორც სახელმძღვანელო პრინციპის გამოყენება უსაფრთხოების, მშვიდობისა და მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად. თუმცა, ეს არ არის მხოლოდ კაცისა და ქალის განსხვავებული საჭიროებების შესწავლის საკითხი, არამედ პირდაპირ კავშირშია უსაფრთხოების სპეციფიკურ საჭიროებებთან.

ცოდნა, გამოცდილება და გენდერულად სენსიტიური მიდგომები გვეხმარება ახალი პრაქტიკის დამკვიდრებაში, არსებითი თანასწორობის მიღწევაში, რაც ხელს შეუწყობს დემოკრატიული პროცესებისა და ინსტიტუტების განმტკიცებას.

არსებული უსაფრთხოების კონტექსტი ახალ ბარიერებს ქმნის გენდერული თანასწორობის აღსრულებისთვის, თუმცა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი დემოკრატიული რეფორმების გაგრძელებისა და განმტკიცების გარეშე შეუძლებელია. რეფორმების ერთ-ერთი საფუძველი თანასწორობის ღირებულებაზე დაფუძნებული სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებაა. გენდერული ლინზები გვეხმარება დავინახოთ არსებული პრობლემები. უსაფრთხოებისა და მშვიდობის სფერო ყველაზე კარგად აჩვენებს პრობლემებს და მიუთითებს ქალთა წარმომადგენლობისა და მონაწილეობის გამოწვევებზე. მათი დაძლევა ცოდნით და გენდერულად მგრძნობიარე მიდგომებით არის შესაძლებელი.

მნიშვნელოვანია არსებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების რეალური აპლიკაცია პრაქტიკაში და ამ ინსტრუმენტების მუშაობის რეგულარული მონიტორინგი. ხშირად გენდერული თანასწორობის უწყებრივი სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები ფორმალურ ხასიათს ატარებს. როგორც თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის უწყებების წარმომადგენლები აცხადებენ, უწყების წარმომადგენლები თავად უნდა იყვნენ აქტიურად ჩართული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში, ეს გაზრდის მათ მოტივაციასა და ზრუნვას გენდერული თანასწორობის პრინციპების აღსრულების მიმართულებით. მნიშვნელოვანია მაღალი თანამდებობის პირების მიერ პოლიტიკისა და მისი აღსრულების მხარდაჭერა. ასევე, კონკრეტული რაოდენობრივი გენდერული თანასწორობისა და ქალთა მონაწილეობის ინდიკატორების განსაზღვრა აღნიშნულ დოკუმენტებში.

არსებული პოლიტიკური კონტექსტი და პოლარიზაცია სერიოზულ გამოწვევას წარმოდგენს იმისთვის, რომ ქალთა საკითხები და გენდერული თანასწორობის მიზნები დარჩეს პოლიტიკურ დღის წესრიგში. განსაკუთრებით, იმ გარემოში, როდესაც კონსერვატული და ულტრა მემარჯვენე იდეები პოპულარული ხდება მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ პირდაპირ თუ არაპირდაპირ მხარდაჭერილ საზოგადოებრივ დისკურსში.

საჭიროა ძალისხმევა იმისთვის, რომ ქალთა და გენდერული თანასწორობის საკითხები პრიორიტეტული იყოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორთან მიმართებაში, დიალოგი დაინტერესებულ აქტორებს შორის ქალთა მონაწილეობისა და ჩართულობის გაზრდის კუთხით უნდა გაგრძელდეს და მისი მიზანი უნდა იყოს შინაარსით დატვირთული ქალთა მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გაეროს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის იმპლემენტაციის საკითხის აქტუალიზება კონფლიქტის მიმდებარე ზონებში და ოკუპაციის ხაზის გასწვრივ მცხოვრებ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. დევნილი ქალების ხმა საზოგადოებრივ ასპარეზზე ნაკლებად ისმის, მათი უფლებების ადვოკატირების კუთხით განსაკუთრებით აქტიურები არიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. მათი საჭიროებების პოლიტიკური დღის წესრიგში წარმოდგენა ჯერ კიდევ პრობლემურია და პოლიტიკური აქტორებისთვის არც თუ ისე მიმზიდველია. საჭიროა მეტი მუშაობა დევნილ ქალთა უფლებების დაცვის და პოლიტკურ პროცესებში ჩართვის კუთხით.

მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალების მონაწილეობა გადამწყვეტია მდგრადი სამშვიდობო პროცესების უზრუნველსაყოფად. უკრაინის კონფლიქტისა და რუსეთის გავლენების კონტექსტში სამშვიდობო მოძრაობის ან დიალოგის პერსპექტივა უახლოეს მომავალში ნაკლებად ჩანს, თუმცა ამ პროცესის მომზადება და მასში ქალების მონაწილეობა გადამწყვეტი იქნება სამომავლოდ რეალური სამშვიდობო პროცესების წარმართვის კუთხით.

მიმდინარე მტრული და დაპირისპირებული პოლიტიკური ველი საფუძველს უსუსტებს ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების დღის წესრიგის გამოცოცხლებას და გააქტიურებას, თუმცა, ამავე დროს საქართველოში ქალი ოპოზიციონერი პოლიტიკოსების როლი და მათი აქტიურობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა დემოკრატიული პროცესების მხადაჭერისა და დაცვის კუთხით.

გამოყენებული წყაროები

- www. mod.gov.ge - თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი;
- www.police.ge - შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი;
- საქართველოს პარლამენტის თემატური მომხსენებლის (რაპორტერის) ანგარიში - საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელება, თემატური მომხსენებელი: თეონა აქუბარდია, პარლამენტის წევრი;
- საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“;
- გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ განხორციელების 2016-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა;
- გეგმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ განხორციელების 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო;
- საქართველოს 2022-2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა;
- გენდერული პოლიტიკა თავდაცვის სექტორში, 2020 წელი, პოლიტიკის ანგარიში, სამოქალაქო საბჭო თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში;
- Gender Eqaulity in Georgia, part 1. The publication was prepared by the Gender Equality Council of the Parliament of Georgia with assistance from United Nations Development Programme (UNDP) and United Nations Population Fund (UNFPA) within the framework of UN Joint Programme for Gender Equality in Georgia supported by the Government of Sweden; United States Agency for International Development (USAID), through the Promoting Rule of Law in Georgia (PROLoG) Program implemented by the East-West Management Institute (EWMI); National Democratic Institute (NDI) supported by the Foreign, Commonwealth and Development Office of the United Kingdom.;
- ადამიანის უფლებების დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა;
- ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად
- გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა;

რას ცვლის ცოდნა, გამოცდილება და პრაქტიკა ქალებისთვის მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში და როგორია გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული უსაფრთხოების გარემო

- საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის" მონტორინგის ანგარიში, თბილისი 2017.;
- საქართველოს სახალხო დამცველი, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელება საქართველოში", მონიტორინგის შედეგები, 2017;
- ქალთა საინფორმაციო ცენტრი, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2016-2017 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამოუკიდებელი მონიტორინგი, თბილისი, ნოემბერი, 2017.;
- https://georgia.unwomen.org/ka, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ოფიციალური ვებ-გვერდი;
- ნატო-ს „შეიარაღებულ ძალებში გენდერული პერსპექტივების: ეროვნული მიმოხილვები, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_132342.htm;
- გენდერული თანასწორობა საქართველოში;

დანართი 1

ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება - რეზოლუციების მოკლე აღწერა

დღის წესრიგი აერთიანებს ათ რეზოლუციას: ქალთა ლიდერობა სამშვიდობო საქმიანობასა და კონფლიქტების პრევენციაში; 1325 (2000) ადასტურებს სამშვიდობო მოლაპარაკებებში, ჰუმანიტარული რეაგირების დაგეგმვაში, სამშვიდობო ოპერაციებში, კონფლიქტის შემდგომ სამშვიდობო საქმიანობასა და მმართველობაში ქალთა მონაწილეობისა და გენდერული საკითხების ჩართვის მნიშვნელობას; 1889 (2009) ხაზს უსვამს №1325 რეზოლუციის განხორციელების გაუმჯობესების საჭიროებასა და ადგენს ინდიკატორებს განხორციელების მონიტორინგისთვის; მოუწოდებს გენერალურ მდივანს, უშიშროების საბჭოს წარუდგინოს ანგარიში სამშვიდობო საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის შესახებ;

2493 (2019) ხაზს უსვამს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის უფრო ფართოდ განხორციელების საჭიროებას;

2122 (2013) კონცენტრირებულია ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის შესრულების ნაკლოვანებებზე; გენდერულ თანასწორობასა და ქალთა გაძლიერებას ანიჭებს არსებით როლს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებაში; აღიარებს კონფლიქტების დროს მომხდარი დარღვევების განსხვავებულ ზემოქმედებას ქალებსა და გოგოებზე და მოუწოდებს უშიშროების საბჭოს სამუშაო პროცესში მუდმივად გაამახვილოს ყურადღება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე;

2242 (2015) აყალიბებს ექსპერტთა არაფორმალურ ჯგუფს; ხაზს უსვამს განხორციელებაში არსებულ დაბრკოლებებს, მათ შორის დაფინანსებისა და ინსტიტუციური რეფორმების კუთხით; ყურადღებას ამახვილებს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ინტეგრირების მნიშვნელობაზე ანტი-ტერორისტულ და ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის დღის წესრიგში; მოუწოდებს უშიშროების საბჭოს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობის მეთოდების გაუმჯობესებისკენ;

კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება;

1820 (2008) სექსუალურ ძალადობას აღიარებს ომის ტაქტიკად, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხად, რომელიც უშიშროების თვალსაზრისით რეაგირების აუცილებლობას წარმოშობს;

1888 (2009) განამტკიცებს სექსუალური ძალადობის აღმოფხვრის ძალისხმევას კონფლიქტების დროს კანონის უზენაესობისა და სექსუალური ძალადობის საკითხებზე გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლისა და ექსპერტთა გუნდის შექმნით, ამ სფეროში ცოდნის გაზიარებითა და კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის აღმოფხვრაში მონაწილე მხარეებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებით;

1960 (2010) შეიმუშავებს კონფლიქტების დროს სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინებისა და მონიტორინგის მექანიზმს;

2106 (2013) კონცენტრირებულია კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის ჩამდენთა

ანგარიშვალდებულებაზე; ყურადღებას ამახვილებს ქალთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებაზე;

2467 (2019) ხაზს უსვამს უსაფრთხოების სექტორის რეფორმას, აკავშირებს კონფლიქტების დროს სექსუალურ ძალადობაზე რეაგირებასა და პრევენციასთან.